ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" რექტორის

ბრძანება № 02-02/103

ქ. თბილისი 22. 05. 2013

ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის (ფაკულტეტის) სტუდენტების პროგრამირებაში მე-7 საერთაშორისო ოლიმპიადაში მონაწილეობისათვის მივლინების შესახებ

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" წესდების მე-6 მუხლის, ამავე უნივერსიტეტის დებულების მე-10.4 პუნქტის, ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, სკოლის (ფაკულტეტის) დეკანის პროფ. ი. წერეთლის მოხსენებითი ბარათის (№1/809, 20.05. 2013) საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. მივლინებულ იქნენ 2013 წლის 24-27 მაისს ქ. ბათუმში, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე ჩასატარებელ პროგრამირებაში მე-7 საერთაშორისო ოლიმპიადაში მონაწილეობის მისაღებად ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, სკოლის (ფაკულტეტის) ქვემოთჩამოთვლილი სტუდენტები:
   1.1. *ხომერიკი ირაკლი,* VI სემესტრის მაგისტრანტი;
   1.2. *ბარნაბიშვილი სანდრო* ბაკალავრიატის II სემესტრის სტუდენტი;
   1.3. *აბულაშვილი დავით* ბაკალავრიატის IV სემესტრის სტუდენტი;
   1.4. *ჯიშკარიანი ირაკლი* ბაკალავრიატის IV სემესტრის სტუდენტი;

2. ი,ხომერიკს, ს. ბარნაბიშვილს, დ. აბულაშვლსა და ი. ჯიშკარიანს სამივლინებო ხარჯები აუნაზღაურდეს თითოეულს: დღიური თანხა 15 ლარის ოდენობით, სხვა ხარჯები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, - წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე;

3. საოლიმპიადო ჯგუფის ხელმძღვანელობა დაევალოს ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, სკოლის (ფაკულტეტის) ასისტენტ პროფესორ თეოდორე ზარქუას, სამივლინებო ხარჯების ანაზღაურების გარეშე;

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაძე დაევალოს უნივერსიტეტის ბუღალტერიას (ქ-ნი ნ. სხულუხია);

5. ბრძანება გასაცნობად დაეგზავნოთ: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს; საქმისწარმოებისა და სასწავლო პროცესის რეგულირების სამსახურს; ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, სკოლის (ფაკულტეტის) დეკანატს, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ელექტრონული რესურსების რეგულირების სამსახურს;

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, რექტორი

პროფესორი სერგო ვარდოსანიძე